ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 250

“ 14 ” ივლისი 2017 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი №36-38-ის მიმდებარედ 68 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.009.026) შპს „შატრესთვის“ (ს/კ: 402045354) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, `ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირი №36-38-ის მიმდებარედ 68 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.009.026), შპს „შატრესთვის“ (ს/კ 402045354) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 ივნისის N23.19.466 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირი №36-38-ის მიმდებარედ 68 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.009.026) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „შატრესთვის“ (ს/კ: 402045354) გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 12 000 (თორმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი